

## თამარ ვაშაკიძე

### თავზე ხელადებული თუ თავზეხელადებული?

ქართულში ძალიან ბევრი ფრაზეოლოგიური გამოთქმა შედგენილია **თავი** ლექსიკური ერთეულით, კერძოდ, ამ სიტყვის **-ზე** თანდებულიანი ფორმით. ბუნებრივია, რომ ყველა შემთხვევაში სიტყვათა მყარი შეხამებანი წარმოდგენილია ცალ-ცალკე დაწერილობით. ამათგან – თანამედროვე ქართულში ყველაზე ხშირად დასტურდება: **თავზე გადახტომა**: გვერდის ავლა, არაფრად ჩაგდება, უგულებელყოფა, ვინმეს უყურადღებოდ დატოვება [სახოკია 1979: 219]; **თავზე დასმა**: გაბატონება ვინმესი, მბრძანებლად გახდომა, თავის დამორჩილება ვინმესთვის [იქვე]; **თავზე დაჯდომა**: გაბატონება ვინმეზე, ვინმეს მბრძანებლად გახდომა, ვინმეს დამორჩილება, თავგასულობა [იქვე: 220]; **თავზე ლაფის დასხმა**: საჯაროდ შერცხვენა, დამცირება, საქვეყნოდ შეურაცხყოფა, სააშკარაოზე გამოტანა ვინმეს სააუგო საქციელისა და უხამსობისა [იქვე]; **თავზე შემოვლება**: ხვეწნა, მუდარა, მოვლა, პატრონობა, ზრუნვა [იქვე: 223]; **თავზე ხელადებული**: მოურიდებელი, ავკაცობის არაფრად მიმჩნევი, უშიშარი, უკრძალველი, თავმომულებული, ყველაფერი – ავი თუ კარგი – ჩაღად რომ უჩანს [იქვე: 225] და სხვ.

ზემოდასახელებულ ფრაზეოლოგიურ გამოთქმათაგან მხოლოდ ერთი – **თავზე ხელადებული** – ამჟღავნებს ერთად დაწერილობის ტენდენციას თანამედროვე ქართულში, თუმცა ქველშიც და ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც ის, როგორც ფრაზეოლოგიური გამოთქმა, შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: **თავზე ხელადებული**.

აღსანიშნავია, რომ ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში **თავზე ხელადებული** მეორე კომპონენტი ვნებითი გვარის მიმღეობას წარმოადგენს, ხოლო ამ უკანასკნელით (ე. ი. ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმით) შედგენილი სხვა „ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, როგორც წესი, ერთად იწერება: თავაწეული, თავაშვებული, თავგასული, თავდაჭერილი და მრავალი სხვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დასახელებულ შემთხვევებში რთული სიტყვის პირველი ნაწილი

ყველგან ფუძის სახითაა წარმოდგენილი (შესაბამისად, აქ რთული სიტყვის ცალ-ცალკე დაწერის საკითხი არც დგას), თუმცა, ვფიქრობთ, **თავაწეული** ტიპის ფორმებმა მაინც შეუწყო ხელი თანამედროვე ქართულში **თავზეხელაღებული** ფრაზეოლოგიური გამოთქმის ერთად დაწერის ტენდენციას.

აღსანიშნავია ისიც, რომ **თავზე ხელაღებული** სინტაქსურად ძირითადად მსაზღვრელია, მაშასადამე, განსაზღვრავს ქვემდებარეს ან დამატებას. ის შეიძლება იყოს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილიც. მაგ., წინადადებაში – „ლიდერს **თავზეხელაღებული** რაზმი ჰყავს“ – **თავზეხელაღებული** განსაზღვრებაა, შესაბამისად, გამოიყოფა სამი სინტაქსური წყვილი: **ლიდერს ჰყავს, რაზმი ჰყავს, თავზეხელაღებული რაზმი**. თუ დასახელებულ ფრაზეოლოგიურ გამოთქმას ცალ-ცალკე დავწერთ, **თავზე ხელაღებული** დამოუკიდებელ წყვილად გამოიყოფა და წინადადებაში ოთხი წყვილი გვექნება: **ლიდერს ჰყავს, რაზმი ჰყავს, ხელაღებული რაზმი, თავზე ხელაღებული**. **ხელაღებული**, ბუნებრივია, არ ნიშნავს **თავზეხელაღებულს**: **ხელაღებული** – ვინც რამეზე ხელი აიღო, რაიმეს თავი დაანება [ქეგლი VIII]; **თავზე ხელაღებული** – ვისაც არც შიში აქვს და არც რიდი ვინმესი [ქეგლი VIII]. მაშასადამე, **თავზე** უბრალო დამატება კი არ არის, არამედ **ხელაღებულთან** ერთად წარმოადგენს მსაზღვრელს – **თავზეხელაღებული** (რაზმი). შესაძლებელია მესამე ვარიანტიც: **თავზე ხელაღებული** დაიწეროს ცალ-ცალკე და ორსიტყვიან მსაზღვრელად იქნეს მოაზრებული. მაშინ სინტაქსური წყვილი სამკომპონენტისანი იქნება: **თავზე ხელაღებული რაზმი**. ვფიქრობთ, **თავზე-ხელაღებული** დღეს უკვე ერთცნებიან კომპოზიტს (ზედსართავ სახელს) წარმოადგენს. შესაბამისად, ის სინტაქსურადაც ერთი წევრია წინადადებისა.

ჩვენ შევამოწმეთ დასახელებული ფრაზეოლოგიური გამოთქმა ორივე ვარიანტის გათვალისწინებით (**თავზე ხელაღებული** და **თავზეხელაღებული**) ქართული ენის ეროვნულ კორპუსსა და გუგლში. აღმოჩნდა, რომ ერთად დაწერილი ვარიანტი საგრძნობლად სჭარბობს ცალ-ცალკე წარმოდგენილს (პროცენტულად: **თავზეხელაღებული** 92 პროცენტი, **თავზე ხელაღებული** 8 პროცენტი).

საილუსტრაციო მასალა **ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან** (ყველგან დაცულია ავტორთა სტილი, პუნქტუაცია...):

„ოპოზიციას ჰყავდა გამოკვეთილი, ძალაუფლების წყურვი-

ლით აღტკინებული, **თავზეხელაღებული** ლიდერი“.

„ეს არის უკვე ავტორიტარული, **თავზეხელაღებული** ძალების ბრძოლა დემოკრატიის და პროგრესის წინააღმდეგ“.

„ეს ძლიერი და **თავზეხელაღებული** ძალა ყოველგვარ ღონეს ხმარობს გამარჯვების მისაღწევად“.

„მეტისმეტად გაბედულია, **თავზეხელაღებული** და მოური-  
დებლად კადნიერი“.

„ეს პოლიტიკა, რბილად რომ ვთქვათ, **თავზეხელაღებული** იყო, – ისევე როგორც არაერთი ნაბიჯი“.

„თავდასხმა ან **თავზეხელაღებული** პირების იერიში საელჩო-  
ზე მიუღებელია“.

„როგორც ხედავთ, **თავზეხელაღებული** ფეხბურთელის და-  
მორჩილება არც ისე ძნელი ყოფილა“.

„ევროპას სურდა ეპოვა **თავზეხელაღებული** ფიგურა და იპოვა  
კიდევ“.

„პატიოსანი იჩაგრებოდა და ყველაზე **თავზეხელაღებული**  
წარმატებას აღწევდა“.

„ბათქა-ბუთქის მოყვარული და **თავზეხელაღებული** კაცები  
ვერაფრით დაარწმუნეს, რომ მშვიდობა კარგია“.

„ღამის განმავლობაში წვრილად უნდა თოვდეს და რიჟრაჟა-  
მდე გაისმოდეს **თავზეხელაღებული** მამალის ყივილი“.

„შეიძლება ქუჩაში აღმოჩენილიყო ათასამდე **თავზეხელაღე-  
ბული** დამნაშავე“.

შეადარეთ:

„ყველამ უნდა დააჩუმოს **თავზე ხელაღებული** „მე“, საცა სასა-  
ხელო და სადიდებელი „ჩვენ“ უნდა ჰღაღადებდეს“.

„კრიტიკოსი ყველაზე უფრო **თავზე ხელაღებული** ადამიანია  
მზისქვეშეთში; მითუმეტეს საქართველოში“.

„ამის მთქმელი კაცი ან **თავზე ხელაღებული** უნდა იყოს, ან  
გიჟიო, იტყვიო“.

**გუგლიდან:**

„შემთხვევა ძალზე მძიმეა ამ **თავზეხელაღებული** მანერით  
განხორციელების გამო“.

„წარმოუდგენლად **თავზეხელაღებული** კორპორატიული ფარ-  
თი დაიყწო ჩვენს კინოთეატრში“.

„ის ხალხი, რომელიც დღეს ამ ეჭვმიტანილთან კავშირშია, სა-

შიში და **თავზეხელაღებული** ხალხია“.

„ჩვენი მოძრაობა ძლიერი, **თავზეხელაღებული** ადამიანების მოძრაობაა, რომელიც მშვიდად ჩაანაცვლებს მთავრობას“.

„მთავრობამ გამოაქვეყნა **თავზეხელაღებული**, პოპულისტური და ეკონომიკის თვალსაზრისით კონტრპროდუქტიული გეგმა“.

„სოციალურ ქსელში პოპულარულია მოტოციკლის **თავზეხელაღებული** მართვის ამსახველი კადრები“.

„ის არის **თავზეხელაღებული** ფოტოგრაფი, რომელიც მიდის ვულკანთან მაქსიმალურად ახლოს“.

„ეს არის საოცრად **თავზეხელაღებული** და ადრენალინით სავსე მოგზაურობა, ამბავი, რომელიც მთელ ცხოვრებას უდრის“.

„გამწარებული და **თავზეხელაღებული** მანამდეა საშიში, სანამ ატირდებოდეს“.

„**თავზეხელაღებული** უნდა იყო, რომ ამ ქალაქში გაბედო ტურისტად წასვლა“.

„თამარი ვინმე **თავზეხელაღებული** ადგილობრივი ამორძალი არ გეგონოთ, რომლის დანახვაზეც ძალებს ელეთ-მელეთი მოსდით“.

„ექსტრემალური ველორბოლა, ძალიან რთულ ტრასაზე **თავზეხელაღებული** ველოსიპედისტის შესრულებით განხორციელდა“.

„მევიცვალე, ბევრი რამე ვისწავლე შეცდომებზე, მაშინ უფრო **თავზეხელაღებული** ვიყავი“.

„საკრებულოს **თავზეხელაღებული** უმრავლესობა სინდისის ქენჯნის გარეშე ჩადის დანაშაულს“ და მრავალი სხვა.

შეადარეთ:

„ეტყობა, თავიდანვე **თავზე ხელაღებული** და თამამი კაცი იყო, ტყის ხალხთან ექნებოდა მეგობრობა“.

„რამდენიმე წელიწადში ქალს შეუყვარდა **თავზე ხელაღებული**, რისკიანი მრბოლელი ვაჟკაცი“...

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში აღნიშნული ფორმა უნდა დაიწეროს ერთად: **თავზეხელაღებული**.

## ლიტერატურა

**გუგლი** – გუგლის საძიებო სისტემა: <https://www.google.ge/>  
**თოფურია, გიგინეიშვილი 1998** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**სახოკია 1979** – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

**ქეგლი 1950-1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბილისი.

**ქეეკი** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=gnc>

Tamar Vashakidze

### **tavze xelayebuli vs tavzexelayebuli**

#### Summary

The present paper deals with the spelling of the phraseological expression **tavzexelayebuli** “daredevil” that denotes a person who is fearless; reckless; villain. Till now this phraseological expression was written separately although it is syntactically one member, an attribute and therefore it must be written as a single word. This approach is supported by the fact that in modern Georgian, the said term is written as one word.